სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნებისთვის განხორციელებული თვითშეფასების პროცესის და ანგარიშის მომზადების გზამკვლევი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის

თბილისი
2023

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში[1]

1. შესავალი 2

1. რას გვეუბნება ESG თვითშეფასების პროცესის და ანგარიშის შესახებ 2

2. თვითშეფასების პროცესის მიზნები 2

3. თვითშეფასების ძირითადი პრინციპები 3

4. თვითშეფასების განხორციელების პროცესი 3

4.1 თვითშეფასების სამუშაო პროცესი 4

4.2 რჩევები დაწესებულებებს თვითშეფასების პროცესის განხორციელებისათვის: 4

5. თვითშეფასების ანგარიშის შევსების და წარმოდგენის ტექნიკურ მხარეები 4

6. თვითშეფასების ანგარიში 4

7. თვითშეფასების ანგარიშის სტრუქტურა 5

7.2 პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები 6

7.2.1 პერსონალი - 6

7.2.2 სტუდენტები - 7

7.2.2 კურსდამთავრებულები - 8

8. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება 9

8.1 აღწერა და შეფასება 9

8.2. მტკიცებულებები/ინდიკატორები 10

8.3 ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები 11

8.4 დანართები 11

[1] წინამდებარე გზამკვლევი უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ ასევე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის დროს, თუმცა ამ პროგრამის თვითშეფასების განხორციელებას შეიძლება ზოგიერთი საკითხი ნაკლებად უკავშირდებოდეს. მაგალითად, თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობისა და ჩართული მხარეების განსაზღვრა კავშირშია პროგრამის მოთხოვნების თავისებურებებთან. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ცენტრის მიერ შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებელს.
https://eqe.ge/ka/page/parent/946/umaghlesi-ganatlebis-kvalifikaciebis-ganvitareba

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის შედგენის მიზანია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისათვის ინსტრუქციების/მითითებების განსაზღვრა. ინსტრუქციები აღწერს ინფორმაციას და მისი წარმოდგენის გზებს, რომელსაც ითვალისწინებს თვითშეფასების ანგარიში.

თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისათვის ერთიანი მიდგომების დაცვა, ხელს შეუწყობს დაწესებულებებს თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. ამასთან, თვითშეფასების ანგარიში ასევე იქნება კარგი ინსტრუმენტი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - NCEQE, ან ცენტრი) აკრედიტაციის ექსპერტებისთვის შეფასების პროცესში რელევანტური ინფორმაციის მისაღებად, რაც იძლევა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციით შეფასების საშუალებას. თვითშეფასების განხორციელებისას უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (შემდგომში - უსდ, ან დაწესებულება) უნდა იხელმძღვანელოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით და სტანდარტების თითოეული კომპონენტის მოთხოვნების მიხედვით მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების განხორციელება.

1. რას გვეუბნება ESG თვითშეფასების პროცესის და ანგარიშის შესახებ

ESG[2] - ს II ნაწილი განეკუთვნება სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის, ხოლო მისი 2.3 სტანდარტი ეხება პროცესების განხორციელებას, რომლის მიხედვით:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი უნდა იყოს სანდო, სასარგებლო, წინასწარ განსაზღვრული, თანამიმდევრულად განხორციელებული და გამოქვეყნებული.

ის მოიცავს: -

- თვითშეფასებას ან მის ეკვივალენტს (მასთან გათანაბრებულ პროცესს);
- გარე შეფასებას, რომელიც ჩვეულებრივ მოიცავს ექსპერტების ვიზიტს;
- ასევე, გარე შეფასების საფუძველზე შემუშავებულ ანგარიშს და შემდგომ თანამიმდევრულ საქმიანობას.

ზემო აღნიშნულის საფუძველზე აკრედიტაციის დებულებაში ხაზგასმულია, , რომ ცენტრში ანგარიშის წარდგენას დაწესებულების მხრიდან წინ უძღვის მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელიც არის თვითშეფასების პროცესი, რომლის კონტექსტშიც თვითშეფასების ჯგუფი ახდენს პროგრამის შეფასებას აკრედიტაციის სტანდარტებზე დაყრდნობით და ადგენს ანგარიშს.

2. თვითშეფასების პროცესის მიზნები

თვითშეფასების პროცესის განხორციელებისა და თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების სამი ძირითადი მიზანი არსებობს:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების განხორციელება არის პროგრამის აკრედიტაციის პროცესის საფუძველი. თვითშეფასების განხორციელებით დაწესებულება ადასტურებს პროგრამის NCEQE - ს მიერ შემუშავებულ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას. ადგილზე ვიზიტი ამოწმებს მტკიცებულებებს, რომელიც მოწოდებულია თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით.
2. თვითშეფასების პროცესი ასევე უზრუნველყოფს ინსტიტუციური/პროგრამული მახასიათებლების (ე. წ. „ბენჩმარკები“) ჩამოყალიბებას. იგი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის სიღრმისეულ ანალიზს და განსაზღვრავს მის ძლიერ მხარეებს, ინდივიდუალური მახასიათებლების გაუმჯობესების საჭიროებებს.
3. თვითშეფასების განხორციელება ხელს უწყობს ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებას/განვითარებას და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარებას.

---

[2] https://www.enqa.eu/esg-standards-and-guidelines-for-quality-assurance-in-the-european-higher-education-area/ - The Standards and guidelines for quality assurance in the European Higher Education Area (ESG)

მიმოხილვა

თვითშეფასების პროცესის დროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ მისი საქმიანობის ანალიტიკურ და კრიტიკულ შეფასებას.

თვითშეფასების პროცესი საშუალებას აძლევს თავად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, გაანალიზოს პროგრამის განხორციელების/თვითშეფასების პროცესში დაგროვილი გამოცდილება, მიღწეული შედეგები და ამის საფუძველზე დასახოს პროგრამის გაუმჯობესების გზები.

კარგად დაგეგმილი თვითშეფასების პროცესი, კრიტიკული თვითშეფასება, უფრო მაღალი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნად დასახვა და ხარისხის გაუმჯობესების გეგმის შემუშავება, დაეხმარება პროგრამის განმახორციელებელს სრულყოს და განავითაროს საკუთარი პროგრამები.

3. თვითშეფასების ძირითადი პრინციპები

თვითშეფასების განხორციელების დროს მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რამდენიმე ძირითადი პრინციპი:

- თვითშეფასება უნდა იყოს ხარისხის გაუმჯობესებისათვის მიზნობრივად დასახული პროცესი;
- პროგრამის განმახორციელებელი უნდა აცნობიერებდეს თვითშეფასების მნიშვნელობას და ხელს უწყობდეს მის ობიექტურად წარმართვას;
- თვითშეფასება შეძლებისდაგვარად უნდა იყოს თანამონაწილეობითი პროცესი და ასახავდეს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს;
- თვითშეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს არსებული მდგომარეობის მკაფიო აღწერას, კრიტიკულ ანალიზს და შემდგომ ნაბიჯებს ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;
- თვითშეფასება უნდა იყოს ანალიტიკური და ეფუძნებოდეს შესაბამის რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებსა და მტკიცებულებებს.

4. თვითშეფასების განხორციელების პროცესი

თვითშეფასების პროცესის განხორციელებისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ქმნის თვითშეფასების ჯგუფს, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე.

თვითშეფასების განხორციელება კოორდინირებული პროცესია და თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობის მიზანია, მიმოიხილოს და შეაჯამოს პროგრამის წინა სააკრედიტაციო პერიოდში არსებული გამოცდილება (არსებობის შემთხვევაში), ასევე, კონცენტრირდეს სფეროს ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკების შეგროვებასა და ანალიზზე, რომლის საფუძველზეც, დასახოს თვითშეფასების პერიოდში შესასრულებელი სამუშაოს სტრატეგია.

თვითშეფასების ჯგუფმა უნდა გამოავლინოს პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, პროგრამის განვითარების შესაძლებლობები და დაგეგმოს პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებლი აქტივობები, რომელიც გაზიარებული იქნება დაწესებულების შესაბამის პოზიციის/მმართველ ორგანოებთან. პროგრამის თვითშეფასებას შედეგად შესაძლებელია მოჰყვეს პროგრამის შემდგომი დახვეწა და, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ცვლილებების შეტანა როგორც თავად პროგრამაში, ასევე მისი განხორციელების პროცესში.

- თვითშეფასების ჯგუფის მიზანი მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პრინციპებს და პროცედურებს, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის მრავალასპექტურ დაკვირვებას/შეფასებას სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით და პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების პროცედურებს:
- ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინება;
- დარგის/სფეროს განვითარების ტენდენციების გათვალისწინება;

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები (სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია);
- რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ცენტრის მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინება;
- ეროვნული კანონმდებლობისა და მათ შორის, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მოთხოვნების გათვალისწინება;
- სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, სტუდენტების სწავლა-სწავლებისა და კვლევისათვის სხვადასხვა მხარდამჭერი სერვისებით უზრუნველყოფა;
- პროგრამის განხორციელებაში მრავალფეროვანი გამოცდილებისა პერსონალის ჩართვა და მათი პროფესიული განვითარებისათვის მხარდაჭერა. ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა, პროგრამაზე გაკეთებული ანალიზები, პროგრამის განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობები/შედეგები.

4.1 თვითშეფასების სამუშაო პროცესი

სქემა 4.1 ასახავს თვითშეფასების სამუშაო პროცესს თვითშეფასების ჯგუფის შექმნიდან თვითშეფასების ანგარიშის შედგენამდე.



4.2 რჩევები

დაწესებულებებს თვითშეფასების პროცესის განხორციელებისათვის:

თვითშეფასების პროცესი შესაძლებელია პირობითად დაიყოს 3 ძირითად ნაწილად.

ნაწილი I: მოსამზადებელი სამუშაოები - თვითშეფასების ჯგუფის შექმნა, ფასილიტატორი პირების განსაზღვრა, პასუხისმგებლობების გადანაწილება, ინფორმაციის შეგროვება, მუშაობის სტრატეგიის დასახვა და პერიოდული შეხვედრების ორგანიზება;

ნაწილი II: საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების პროცესის განხორციელება, თვითშეფასების ანგარიშის დაწერისთვის მზადება - ჯგუფის მიერ თვითშეფასების განხორციელება, ანალიზური სამუშაოების ჩატარება, კურიკულუმის რუკის შედგენა/განხილვა; ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება, პროგრამის ძლიერი და განსავითარებელი მხარეების წარმოჩენა, შედეგების გათვალისწინება (ცვლილებები პროგრამაში);

ნაწილი III: თვითშეფასების ანგარიშის დაწერა.

ნაწილი I - მოსამზადებელი სამუშაოები:

სასურველია თვითშეფასების ჯგუფის შექმნა, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია, მრავალფეროვანი გამოცდილება, და სათანადოდ გადანაწილებული პასუხისმგებლობება, რაც უზრუნველყოფს თვითშეფასების კომპექსურად განხორციელებას, ინდივიდუალური დატვირთვის შემცირებას, თუმცა,

აუცილებელია პროცესის კოორდინირება თვითშეფასების პროცესის და თვითშეფასების ანგარიშის ერთიანობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუშაობის სტრატეგია:

- თვითშეფასების ჯგუფის მიერ თვითშეფასების პროცესის ეტაპების გაწერა და ამ პროცესის სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- პასუხისმგებლობების გადანაწილება და პროცესის ფასილიტატორი პირების განსაზღვრა;
- ინფორმაციის შეგროვება, რომელიც საჭიროა თვითშეფასების პროცესის განხორციელებისთვის; მნიშვნელოვანია, რომ ეს ინფორმაცია იყოს აკუმულირებული ერთ საერთო სივრცეში.
- მუშაობის სტრატეგიის დასახვა და პერიოდულობის განსაზღვრა (იგულისხმება შეხვედრებისა დაანგარიშების წარდგენის პერიოდულობა);

ვინ არიან სამუშაო ჯგუფის წევრები?

ა. პროგრამის პერსონალი (მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელი);

ბ. პროგრამის სტუდენტები;

გ. პროგრამის კურსდამთავრებულები;

დ. ფაკულტეტის/უსდ - ს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლ(ებ)ი;

ე. პროგრამის დამსაქმებლები/პოტენციური დამსაქმებლები;

ვ. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლ(ებ)ი (პროგრამის საფეხურისა და თავისებურების გათვალისწინებით);

ზ. საველე/ სასწავლო/ პროფესიული/ კლინიკური პრაქტიკის ხელმძღვანელები ან პროფესიული ორგანიზაციების/ასოციაციების წარმომადგენლ(ებ)ი, რომლებთანაც თქვენ გიწევთ მუშაობა;

თ. უცხოელი პერსონალი (საჭიროებისა და პროგრამის პერსონალის სურვილის შემთხვევაში);

ი. მრჩეველთა კომიტეტის წევრები (არსებობის შემთხვევაში).

იხ. სქემა 4.2 სამუშაო ჯგუფის წევრები:[3]

[3] მოცემული არ არის ამომწურავი სია და დაწესებულება თავად განსაზღვრავს ჯგუფის შემადგენლობას. მაგალითი მოყვანილია ნიმუშისთვის.

თვითშეფასების განხორციელების მეთოდოლოგია, სამუშაო ჯგუფის წევრების შერჩევა

სასურველია დაწესებულებაში არსებობდეს საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების განხორციელების მეთოდოლოგია, რომელიც გაითვალისწინებს მაგალითად, თვითშეფასებაში მონაწილე პირების/სამუშაო ჯგუფის შერჩევის, მათი მუშაობის სტრატეგიისა და საქმიანობის მიდგომებს (როლები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა). მიზანშეწონილია, რომ მეთოდოლოგიის შესაბამისად წახალისდეს ღიაობა და თვითკრიტიკულობა და ასევე, ინიციატივების გამოხატვა. ამასთან, მნიშვნელოვანია, ნაკლოვანება იყოს დანახული, როგორც ახალი შესაძლებლობა/გაუმჯობესებული პროცესის დასაწყისი.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა უნდა შეიმუშაონ თვითშეფასების პროცესის წარმართვის სამოქმედო გეგმა, სადაც თავიანთი კომპეტენცი ის მიხედვით აიღებენ პასუხისმგებლობას კონკრეტულ ამოცანებზე;
შესაბამისად, სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს წინასწარ განსაზღვრული თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა. ჩართულობის ხარისხი და ხასიათი დამოკიდებული იქნება ინსტიტუციის სპეციფიკაზე (დაწესებულების მისია, მართვის თავისებურებები, ტრადიციები); ასევე შესაძლებელია დამოკიდებული იყოს ინსტიტუციის მასშტაბებზე და განსხვავდებოდეს დიდ და პატარა ინსტიტუციის შემთხვევაში.
თვითშეფასების ჯგუფში ჩართული პირები არიან დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, რომელთაც უნდა უზრუნველყონ მათი მხარეების მოსაზრებების გაზიარება, შემდგომ მიიღონ უკუკავშირი/შეაგროვონ მოსაზრებები მათი წარმომადგენლებისგან და წარუდგინონ თვითშეფასების ჯგუფს.
პროცესის ერთიანობა იმაში გამოიხატება, რომ უზრუნველყოფილია ყველა მოსაზრების გათვალისწინება იმგვარად, რომ ისინი წინააღმდეგობაში არ არიან ერთმანეთთან და საბოლოოდ ყველა პერსპექტივა გათვალისწინებულია.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი - სასურველია პრიორიტეტად განისაზღვროს ხანგრძლივი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალისა და დარგის წამყვანი სპეციალისტების ჩართულობა პროგრამაში, რადგან მათი პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა პროგრამის საჭიროებებს ნათლად წარმოაჩენს. ასევე, პრიორიტეტულია ახალი პერსონალი ახალი ხედვებისა და პერსპექტივების შემოტანა.
თვითშეფასების ჯგუფში ასევე შესაძლებელია სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელ(ებ)ის განხილვა, რომლებიც დააკვირდებიან კვლევითი კომპონენტის განხორციელების ხარისხს. პერსონალის როლია ფასილიტირება და სხვა აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალისაგან უკუკავშირის მიღება.
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს სამუშაო ჯგუფში ფასილიტატორის ან ლიდერის როლი.
პერსონალი ყურადღებას უთმობს დარგის/სფეროს თანამედროვე ტენდენციების, საერთაშორისო ანალოგიური პროგრამების მოძიებას/განხილვას და პროგრამაში გატარებას. ისინი მთლიანობაში უყურებენ პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს და აზიარებენ თავიანთ ხედვებს;
საბოლოო ჯამში, პროგრამაში განხორციელებულ შინაარსობრივ ცვლილებებზე, მათ შორის სხვა ჩართული მხარეებიდან შეთავაზებული რეკომენდაციების საფუძველზე, პასუხისმგებლობას იღებს პერსონალი.

ადმინისტრაცია - თვითშეფასების მხარდაჭერისათვის აუცილებელია ადმინისტრაციული ერთეულების კოორდინირებული მუშაობა. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ, მაგალითად, ფაკულტეტის ხელმძღვანელი, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი/წარმომადგენელი, ფინანსური სამსახურის წარმომადგენელი და სხვა. სამუშაო ჯგუფის წევრი/წევრები ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მჭიდროდ თანამშრომლობს ფაკულტეტის/ უსდ-ს შესაბამისი სამსახურების/სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან, რათა თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებისთვის მიიღონ აუცილებელი ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში, სათანადოდ დაგეგმონ მაგალითად, პროგრამის ბიუჯეტირება, ინტერნაციონალიზაციის აქტივობები, რესურსების განახლება და სხვა.

დამსაქმებლები - დამსაქმებლების შერჩევა და ჩართვა თვითშეფასების პროცესში სისტემის ერთგვარი გამოწვევაა, რადგან ხარისხის კულტურა ჯერ სრულად არ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისად, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის მნიშვნელობა ბოლომდე არ არის გააზრებული. მიუხედავად ამისა, დამსაქმებლებთან მიზნობრივად თანამშრომლობა და მათთან სწორი კომუნიკაციის ფორმების შერჩევა, საერთო სარგებლის მიღების მიზანზე ორიენტულობა, საბოლოოდ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას კარგ შედეგებზე გაიყვანს.

ვინ შეიძლება იყოს პროგრამის დამსაქმებელ(ებ)ი?

სასურველია, დამსაქმებლების შერჩევის მეთოდოლოგიის მიხედვით ყურადღება გამახვილდეს დამსაქმებლის საქმიანობის სფეროზე და ფარგლებზე. ყურადღება მისაქცევია პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა დასაქმების სეგმენტში არსებულ მოთხოვნებთან.

ზოგადად, თვითშეფასების პროცესის განხორციელების მიზნებისთვის, პროგრამის დამსაქმებელი შეიძლება იყოს კომპანია, დაწესებულება, უწყება, პროფესიული ორგანიზაცია, ან სხვა სახის ორგანიზაცია, რომლისთვისაც ასევე მნიშვნელოვანია/სარგებლიანია ინსტიტუციასთან თანამშრომლობა. მათი ინტერესი, გარდა საზოგადოების მიმართ სოციალური პასუხისმგებლობისა, ხარისხიანი კადრების მოძიებაა.

უსდ დამსაქმებელთან თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებს ირჩევს. მაგალითად, ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვარების გამოყენება, რომლებიც შესაძლებელია შეიცავდეს კითხვებს და ღია პასუხებს პროგრამის შინაარსზე და დაგეგმილ პრაქტიკულ კომპონენტზე, პროგრამის კურსდამთავრებულების ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, პროგრამასთან დაკავშირებით სასარგებლო რეკომენდაციების შეთავაზებაზე და სხვა.

შესაძლებელია, დამსაქმებელი სხვადასხვა სახით იყოს ჩართული პროგრამის განხორციელებაში, მაგალითად, პრაქტიკის კომპონენტის დაგეგმვა და განხორციელება, სწავლების პროცესში ჩართულობა, საკომუნიკაციო/გაცნობითი აქტივობები (სემინარები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.).

დამსაქმებლის თვითშეფასების ჯგუფში მონაწილეობა სასარგებლოა იმ ხედვების გაზიარებით, რომელიც ბაზრის მოთხოვნების თავისებურებებს და გამოწვევებს უკავშირდება. სწორად შერჩეულ დამსაქმებელს შეუძლია პროგრამის კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით სასარგებლო რჩევ(ებ)ის გაცემა.

სტუდენტები - თვითშეფასების პროცესში ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართულობა. სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, უშუალოდ თვითშეფასების ჯგუფში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს პროგრამის სტუდენტ(ებ)ი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სტუდენტების ინტერესების და მოსაზრებების თვითშეფასების ანგარიშში ასახვა.

ასევე, სტუდენტთა აზრის გათვალისწინების მიზნით, შესაძლოა, კონკრეტულ საკითხებზე უსდ-მ ჩაატაროს გამოკითხვები ან ფოკუს ჯგუფები/სამუშაო შეხვედრები და სხვა. სტუდენტების წარმომადგენელ(ებ)მა სამუშაო ჯგუფში შეიძლება გააზიაროს რეფლექსია სტუდენტთა მომსახურების სერვისებზე, მაგალითად, კონსულტაციის შესაძლებლობებზე, სწავლა-სწავლების მეთოდებზე, კვლევითი კომპონენტის განხორციელების ეფექტურობაზე, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტ(ებ)ის ხარისხზე, საერთაშორისო სტუდენტების შემთხვევაში კი, ინტეგრაციის მექანიზმებზე და ზოგადად სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოზე.

კურსდამთავრებულები - თვითშეფასების პროცესში ასევე სასარგებლოა კურსდამთავრებულების ჩართულობა. შესაძლებელია, ფაკულტეტს ჰქონდეს შექმნილი კურსდამთავრებულთა ქსელი. პრიორიტეტულია კურსდამთავრებულთა ჩართვისათვის მაქსიმალურად ლიბერალური გარემოს შექმნა, სადაც კურსდამთავრებულთა ქსელის ყველა წარმომადგენელს, ჩართვის თანაბარი შანსები ექნებათ. კურსდამთავრებულთა აზრის გათვალისწინების მიზნით შესაძლოა კონკრეტულ საკითხებზე უსდ-მ ჩაატაროს გამოკითხვები ან ფოკუს ჯგუფები/სამუშაო შეხვედრები და სხვა.

კურსდამთავრებულთა წარმომადგენელ(ებ)მა სამუშაო ჯგუფში შეიძლება გააზიაროს მაგალითად, რეფლექსია კურიკულუმში გამოკვეთილ სირთულეებზე, რეალური პოსტ-დიპლომური სამუშაო გამოცდილებისა და მასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, მათი წარმატებისთვის

საჭირო უნარებზე, სწავლების მეთოდოლოგიაზე და შეფასების ობიექტურობაზე და ზოგადად სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს განვითარებაზე.
გარდა თვითშეფასების ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოებისა, დაწესებულებამ თვითშეფასების პროცესში სასარგებლო უკუკავშირი შესაძლებელია მიიღოს გარე შემფასებლისგან, რომელიც შესაძლებელია იყოს მაგალითად, სხვა უნივერსიტეტის/სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/დარგობრივი ასოციაციის წარმომადგენლ(ებ)ი. კოლეგიალური შეფასება დაწესებულებას მიაწოდებს სასარგებლო შეხედულებებს, პროგრამის განვითარების შესაძლებლობებზე, შესაბამისად, დაწესებულება მეტად იქნება დარწმუნებული პროგრამის შესაძლებლობების განვითარების სწორედ დაგეგმვაში, რისი დემონსტრირებაც შესაძლებელია მოახდინოს ექსპერტთა ჯგუფთან.

ნაწილი II: საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების პროცესის განხორციელება - ჯგუფის მიერ თვითშეფასების განხორციელება, ანალიზური სამუშაოების ჩატარება, კურიკულუმის რუკის შედგენა/განხილვა; ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება, პროგრამის ძლიერი და განსავითარებელი მხარეების წარმოჩენა, შედეგების გათვალისწინება (ცვლილებები პროგრამაში);
რჩევები თვითშეფასების სამუშაო ჯგუფისთვის:

- თავიდანვე შეიძლება შეიმუშავოთ გეგმა და ვადები თქვენი პროგრამის სააკრედიტაციოდ წარსადგენად, რომელსაც გაითვალისწინებთ მუშაობის დროს;
- შეიძლება გადაამოწმოთ, რომ:
  - პროგრამასთან დაკავშირებული ყველა მასალა გადმოგეცათ;
  - ჯგუფის წევრების პასუხისმგებლობებს შორის არ არის გადაფარვა;
  - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები სრულად იფარება გადანაწილებული პასუხისმგებლობებით;
- სასურველია, გააზიაროთ სამუშაო ჯგუფში პროგრამასთან დაკავშირებული თქვენი გამოცდილება;
- სასურველია, გაეცნოთ პროგრამის დოკუმენტაციას თქვენი პერსპექტივიდან და გააზიაროთ მოსაზრებები, მათ შორის, თქვენი მხარის წარმომადგენლებისგან მიღებული უკუკავშირი;
- სასურველია, შეაგროვოთ ჯგუფის წევრების მოსაზრებები;
- მნიშვნელოვანია, შეაფასოთ პროგრამის მიმდინარე მდგომარეობის შესაბამისობა აკრედიტაციის თითოეულ სტანდარტთან მიმართებით;
- მნიშვნელოვანია, განახორციელოთ პროგრამის SWOT ანალიზი, გაანალიზოთ მონაცემები, პროგრამის განვითარების საჭიროებები და დაისახოთ პროგრამის განვითარების რეალისტური გზები;
- სასარგებლოა, შეადგინოთ, ან განიხილოთ უკვე შედგენილი პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა[4], რომელიც გიჩვენებთ, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ლოგიკურ კავშირებს. რუკის მიხედვით ასევე, შესაძლებელია გაანალიზოთ თითოეული სწავლის შედეგების მიღწევა რომელი კომპონენტებით ხდება და რომელ დონეზე[5].

ნაწილი III: თვითშეფასების ანგარიშის დაწერა
საბოლოოდ, მნიშვნელოვანია თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის და დამატებით, შესაძლებელია, პროგრამის განვითარების სტრატეგის დოკუმენტის შემუშავება (საჭიროებისა და პერსონალის სურვილის შემთხვევაში), სადაც აისახება გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების განვითარების/შესრულების სტრატეგია. ასევე აუცილებელია, პროცესით გათვალისწინებული ქმედებებისთვის რეალისტური სამოქმედო გეგმის შემუშავება.
საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენამდე აუცილებელია თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის საბოლოო რევიზია.

---

[4] კურიკულუმის რუკა პროგრამის შინაარსის ანალიზის კარგი ინსტუმენტია, რომელიც გვაძლევს საშუალებას მთლიანობაში დავინახოთ პროგრამის სტრუქტურა და გავაანალიზოთ, თუ რამდენად აძლევს აღნიშნული პროგრამის შინაარსი სტუდენტებს საშუალებას მიაღწიონ სწავლის შედეგებს.
[5] I. გაცნობა; II - გაღრმავება; III - განმტკიცება

5. თვითშეფასების ანგარიშის შევსების და წარმოდგენის ტექნიკურ მხარეები

უსდ-მ თვითშეფასების ანგარიში (კლასტერული, ინდივიდუალური) უნდა წარმოადგინოს ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული თვითშეფასების ფორმის[6] მიხედვით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს დანართები ელექტრონული სახით.

- მიზანშეწონილია, თვითშეფასების ანგარიშის ტექსტში მითითებული იყოს დანართ(ებ)ის შესაბამისი ჩამონათვალი, რაც თან ერთვის ანგარიშს.
- მიზანშეწონილია, რომ დანართების (ფაილი, ფოლდერის) დასახელებები იყოს ლათინური ასოებით მოკლე დასახელებებით (მაგ.: "programa_silabusebi"), რომ შემდგომი არ შეიქმნას ჩამოტვირთვის/ექსპერტთათვის გაგზავნის პრობლემა.

  ანგარიშში ასევე შესაძლებელია მითითებული იყოს რელევანტური ბმულები მტკიცებულების სახით, ასევე შესაბამისი სქემები და განაწილების დიაგრამები (Charts) სხვადასხვა მონაცემების ვიზუალიზაციისათვის. დაწესებულების აკრედიტაციის მაძიებლად ცნობისთვის, აუცილებელია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმა სრულყოფილად იყოს შევსებული. თვითშეფასების ფორმა სრულყოფილად შევსებულად ითვლება თუ:
- თვითშეფასების ფორმით გათვალისწინებული თითოეული ველი შევსებულია (იმ შემთხვევაში, როცა დაწესებულებას, კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, თვითშეფასების მომენტისთვის, დაზუსტებული ინფორმაცია არ მოეპოვება, ან თვითშეფასების ნაწილი/ველი არ არის რელევანტური წარმოდგენილი პროგრამისათვის, შესაბამის ნაწილში/ველში უნდა გაკეთდეს განმარტება).

  თვითშეფასების ანგარიშის ფორმაში წარმოდგენილი თითოეული მოთხოვნის შესაბამისად უნდა მოხდეს არსებული მდგომარეობის აღწერა (ფაქტობრივი გარემოებები)/შეფასება და დაწესებულების მიერ პროგრამის განვითარებისათვის დაგეგმილი აქტივობები.

6. თვითშეფასების ანგარიში

თვითშეფასების ანგარიშში უნდა აისახოს:

მიზანშეწონილია, თვითშეფასების ანგარიშში აისახოს საგანმანათლებლო პროგრამის წინა შეფასების (აკრედიტაციის) პერიოდში მიღებული შედეგის შეფასება; ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის სამომავლო გეგმების, პროექტების და პერსპექტივების დაზუსტება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ანგარიშში შეიტანოს დამატებითი ინფორმაცია, თუ იგი მიიჩნევს, რომ შეფასების პროცესში შემფასებლის მიერ შესაძლებელია ეს ინფორმაცია გახდეს როგორც პროგრამის საინტერესო მახასიათებელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების სახით თანდართული ინფორმაციიის წარმოდგენა, ხოლო შეფასების პროცესში, დაწესებულება მზად უნდა იყოს ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინოს მტკიცებულებები თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ფაქტების შესახებ, რომელიც არ იყო თვითშეფასების დოკუმენტების დანართებში სავალდებულოდ მოცემული.

თვითშეფასების ანგარიშის შევსების თავისებურებები:

- თვითშეფასების ფორმით წარმოდგენილი ინფორმაცია პირდაპირ უნდა პასუხობდეს შესაბამისი სტანდარტის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- თვითშეფასების ფორმით წარმოდგენილი ინფორმაციის დადასტურებისთვის, სტანდარტის კომპონენტის მტკიცებულებების/ინდიკატორების გრაფაში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტებისა და/ან ინფორმაციის ჩამონათვალი;
- თითოეულ სტანდარტთან დაკავშირებით, წარმოდგენილი უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ასევე, პროგრამის გაუმჯობესებისათვის დაგეგმილი აქტივობები (არსებობის შემთხვევაში) სტანდარტის თითოეული კომპონენტის გათვალისწინებით;

[6] აკრედიტაციის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა იხილეთ შემდეგ ბმულზე: Forms (eqe.ge)

- თვითშეფასება უნდა იყოს სტილისტურად გამართული, გასაგებად და ნათლად დაწერილი. დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში გაკეთებული თითოეული განაცხადი უნდა იყოს რეალისტური, სათანადოდ არგუმენტირებული და ეფუძნებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს, რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს.

7. თვითშეფასების ანგარიშის სტრუქტურა

თვითშეფასების ანგარიშის ფორმის სტრუქტურა ოთხი ძირითადი ნაწილისგან შედგება:

7.1 შესავალი ნაწილი - ასახულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის მახასიათებლებისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ

7.2 პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები

7.3 აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

7.4 დანართები

7.1 შესავალი

შესავალი ნაწილი ითვალისწინებს უსდ-ს შესახებ ფაქტობრივი და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებას, როგორიცაა, უსდ-ის სახელწოდება, ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა, სახე, საიდენტიფიკაციო კოდი, პროგრამის/პროგრამების სახელწოდება, საფეხური, სწავლების ენა, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოზე დაყრდნობით მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით, ასევე ძირითადი საკონტაქტო მონაცემები და ინფორმაცია ხელმძღვანელი პირების შესახებ და სხვ. დოკუმენტი არის ორენოვანი (ქართული და ინგლისური) და დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტის ორივე ენაზე წარმოდგენა.

თვითშეფასების ანგარიშის ფორმა

საერთოა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/ პროგრამების კლასტერისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის;

თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გათვალისწინებულია სხვადასხვა მახასიათებელი მონაცემის გაწერა, რაც მხოლოდ კონკრეტულ პროგრამას უკავშირდება მაგ.: მასწავლებლის მოზადების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო პროგრამისათვის, ასევე, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამისათვის და ა.შ.

თვითშეფასების ანგარიშში მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის ველში კვალიფიკაციის კოდი მითითებული უნდა იყოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს 4-ნიშნა კოდის შესაბამისად (მაგალითად, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდი - **0413**).

შესავალ ნაწილში დაწესებულებამ ასევე შესაძლებელია გააკეთოს:

„საგანმანათლებლო პროგრამის მოკლე მიმოხილვა“/„კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოკლე მიმოხილვა“, რომელშიც მიეთითება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ისტორია, მაგალითად, მიეთითება როდიდან ხორციელდება პროგრამა და რა პერიოდში ხორციელდებოდა აკრედიტებულ/ავტორიზებულ რეჟიმში. შესაძლებელია პროგრამის/პროგრამების ძირითადი/გამორჩეული მახასიათებლების აღწერა და მითითება, როგორ არიან პროგრამები შინაარსობრივად დაკავშირებული ერთმანეთთან. ასევე შესაძლებელია მიეთითოს, თუ რა ცვლილებები შევიდა პროგრამაში/პროგრამებში ბოლო სააკრედიტაციო პერიოდში და რა იყო ცვლილებების მიზანი. შეიძლება მიეთითოს ინფორმაცია პროგრამის/პროგრამების ანალოგებისა და სამიზნე ნიშნულების შესახებ და სხვა.(ინდივიდუალური პროგრამის შემთხვევაში არაუმეტეს 500 სიტყვა, ხოლო კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების - 1500),

შესაბამის ნაწილში:

„თვითშეფასების ჯგუფი და თვითშეფასების პროცესის აღწერა“ - უსდ-მ უნდა მოახდინოს თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობის აღწერა, წარმოაჩინოს მათი პასუხისმგებლობის სფეროები და მთლიანად თვითშეფასების პროცესის მიმდინარეობა (ინდივიდუალური პროგრამის შემთხვევაში არაუმეტეს 500

სიტყვა, ხოლო კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების - 800). მიზანშეწონილია ეს აღწერა განხორციელდეს ზემოთმოცემული „თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო პროცესის“ სქემის შესაბამისად.

7.2 პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები

მონაცემები პროგრამაში ჩართული პერსონალის შესახებ			
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	0		
სულ აკადემიური პერსონალი	0	საწყისი:	0
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
- ასისტენტი			
სამეცნიერო პერსონალი	0		
- მეცნიერი			
- პოსტდოქტორანტი			
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	0		
- აფილირებული პროფესორი			
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი			
- აფილირებული ასისტენტ-პროფესორი			
- აფილირებული ასისტენტი			
უცხოელი პერსონალი (არსებობის შემთხვევაში)			
- სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა			
- კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			

თვითშეფასების დოკუმენტს თან ერთვის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ დანართი, რომელიც წარმოდგენილია Ecxel დოკუმენტის სახით და მონაცემების შევსების შემთხვევაში ითვალისწინებს მონაცემების ავტომატური შევსების შესაძლებლობას.

რაოდენობრივი მონაცემების ნაწილში უსდ-მ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია პროგრამის განხორციელებაში ჩართული *პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების* შესახებ.

წარმოდგენილი რაოდენობრივი ინფორმაცია მნიშვნელოვან სურათს ქმნის პროგრამის მდგომარეობის შესახებ, რისი დამუშავება/გაანალიზება შემოწმების დროს ექპერტთათვის გახდება პროგრამის შეფასებისათვის ერთ-ერთი დამატებითი მაჩვენებელი/ინდიკატორი. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს მიერ ზუსტი მონაცემი იყოს ასახული მაჩვენებლებში. ასევე, მიზანშეწონილია, თავად თვითშეფასების ჯგუფს მუშაობის პროცესში ჰქონდეს დამუშავებული ეს რაოდენობრივი მონაცემები და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნები.

ასევე საგულისხმოა, რომ ეს შესაბამისი მონაცემი დაწესებულებამ უნდა ასახოს განათლების მართვის სისტემის ელექტრონულ ბაზაში (QMS ბაზის შესაბამის ჩანაწერებში) და უნდა უზრუნველყოს მონაცემების ზუსტი თანხვედრა. ამ მიზნით, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა უნდა ითანამშრომლოს უსდ-ში რეესტრის მონაცემებზე პასუხისმგებელ პირთან, რომელსაც შეუძლიამონაცემების მიწოდება და ასევე, ამ მონაცემების სიზუსტის დადასტურება.

7.2.1 პერსონალი - აკრედიტაციის მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტის მიხედვით, უსდ-ს მოეთხოვება *პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის* წარმოდგენა. სწორედ მასზე დაყრდნობით, უსდ-მ უნდა განსაზღვროს და წარმოადგინოს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური (მათ შორის აფილირებული), სამეცნიერო, მოწვეული, უცხოელი და აგრეთვე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის შესახებ.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შემთხვევაში, უნდა მიეთითოს კონკრეტული პოზიციის მქონე პირთა რაოდენობაც, მაგალითად, აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, პროფესორების, ასოცირებულ პროფესორების, ასისტენტ -პროფესორების და ასისტენტების რაოდენობა. ასევე, მიეთითება ინფორმაცია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობის შესახებ და მათი სამეცნიერო კვლევითი აქტივობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში (პუბლიკაციების რაოდენობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე; კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე და სხვ.). ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში.

7.2.2 სტუდენტები - უსდ-მ უნდა მიუთითოს ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რაოდენობა, სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით ბოლო 5 წლის განმავლობაში.

- ✓ კერძოდ, მიეთითება პროგრამაზე ჩარიცხულ „სტუდენტთა რაოდენობა პირველ სასწავლო წელს“ და აღინიშნება 100 %-ით, შემდეგ მიეთითება „სტუდენტთა მიღება მე-2 სასწავლო“ წელს და ა. შ. (ბუნებრივია, სტუდენტთა რაოდენობა პირველ სასწავლო წელს ნებისმიერი მიღებისას იქნება 100%. ხოლო ყოველ შემდეგ სასწავლო წელს ***საწყის მონაცემთან მიმართებით*** პროცენტული მაჩვენებელი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ შემდეგი სასწავლო წლიდან რამდენმა სტუდენტმა განაგრძო სწავლა).
- ✓ შემდეგ აღინიშნება პირველ წელს ჩარიცხული სტუდენტებიდან რამდენმა განაგრძო სწავლა მეორე სასწავლო წელს და გამოითვლება, პირველ წელს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენს ეს რაოდენობა. მაგალითად პირველ წელს მიღებული იყო 50 სტუდენტი, რაც ბუნებრივია შეადგენს 100%-ს. ამ სტუდენტთაგან, მეორე სასწავლო წელს სწავლა განაგრძო 40-მა სტუდენტმა. რაც შეადგენს პირველ წელს ჩარიცხული 50 სტუდენტის 90%-ს, და.ა.შ.
- ✓ იმავე ლოგიკით ივსება მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სასწავლო წლების მონაცემები (პროგრამის საფეხურისა და ხანგძლივობის მიხედვით სასწავლო წლების რაოდენობა განსხვავებული იქნება).

ამასთან, ივსება სტატუსშეჩერებულ და სტატუსშეწყვეტილ სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი. ეს უკანასკნელი გამოითვლება საწყისი მონაცემიდან, ანუ პირველ წელს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობიდან. მაგალითად, პირველ წელს ჩარიცხული იყო 50 სტუდენტი, რაც თავისთავად შეადგენს აღებული მონაცემების 100%-ს; ხოლო სტატუსშეწყვეტილი სტუდენტთა რაოდენობა იყო 4, რაც შეადგენს პირველ წელს ჩარიცხული სტუდენტების 8%-ს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ პროგრესიაში *უმჯობესია არ მიეთითოს მობილობით გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობა,* რადგან ამის შესახებ ინფორმაცია სხვა გრაფაშია (მობილობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში)) მოთხოვნილი. იმ შემთხვევაში, თუ უსდ-ს სურს აღნიშნული მონაცემების მითითება, მაშინ უმჯობესია წარმოდგენილი იყოს სქოლიოს სახით.

შესაბამის მონაცემებში ასევე ივსება პროგრამის განხორციელების პერიოდში სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი (სამეცნიერო ნაშრომების, კონფერენციების და ა.შ. რაოდენობა) და სტუდენტთა მობილობა ბოლო 5 წლის განმავლობაში.

სტუდენტთა პროგრესიის აღმნიშვნელი ცხრილი 1 - ის მაგალითი:

სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით (ბოლო 5 წლის განმავლობაში - მოქმედი პროგრამის შემთხვევაში)	1-ლი მიღება		მე-2 მიღება		მე-3 მიღება		მე-4 მიღება		მე-5 მიღება	
	n	%	n	%	n	%	n	%	n	%
-სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი პირველ სასწავლო წელს	55	100	70	100	75	100	100	100	50	100
-სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი მეორე სასწავლო წელს	50	90.9	65	92.86	75	100	55	55		

-სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი მესამე სასწავლო წელს	50	90.9	57	81.43	72	96				
-სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი მეოთხე სასწავლო წელს	35	63.63	57	81.43						
-სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი მეხუთე სასწავლო წელს										
-სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი მეექვსე სასწავლო წელს										
-სტატუსშეწყვეტილ სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი	5	9.09	10	14.29	1	1.33				
-სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი	10	18.18	3	4.29	3	4	5	5		
-კურსდამთავრებულთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი	40	72.72	57	81.43						

7.2.2 კურსდამთავრებულები - უსდ-მ უნდა მიუთითოს კურსდამთავრებულთა სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებელი 5-წლიანი პროგრესიის ფარგლებში. ასევე, უნდა წარმოადგინოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, როგორც ზოგადი, ისე პროგრამის ფარგლებში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ამასთან ერთად, უსდ-მ უნდა მიუთითოს კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე გაგრძელების მაჩვენებელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში, ხოლო რეგულირებადი პროფესიების შემთხვევაში კი, კონკრეტული დარგის შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები (მაგ. რამდენი კურსდამთავრებული გავიდა და რამდენმა გადალახა ზღვარი სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ტესტებში). საბოლოოდ კი მიეთითება კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში.

კურსდამთავრებულების შემთხვევაში შესაძლებელია მაგალითის სახით განვიხილოთ შემდეგი ცხრილი 2:

კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში; მოქმედი პროგრამების შემთხვევაში) გთხოვთ გამოსახოთ პროცენტულად					
პირობითი თანმიმდევრობა	5 წლის წინ	4 წლის წინ	3 წლის წინ	2 წლის წინ	1 წლის წინ
-ფრიადი	**მაგ.**: 5%				
-ძალიან კარგი	10%				
-კარგი	60%				
-დამაკმაყოფილებელი	10%				
-საკმარისი	5%				
	სულ 90%				

ამ შემთხვევაში, უსდ-მ პირველ რიგში უნდა ***მიიღოს ჯამური მონაცემი თვითოეული წლის მიხედვით როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასებისთვის*** და პროცენტებით გამოსახოს, მიღწეული

შედეგებიდან, მათ შორის რამდენი პროცენტი იყო შეფასებული დადებითად - „ფრიადი“, „ძალიან კარგი“ და ა. შ.
სულ დათვლილი იქნება მონაცემები *დადებითი* და *უარყოფითი* შედეგების შესახებ, მაგალითად, კურსდამთავრებულთა შედეგების 90% არის დადებითად შეფასებული, ხოლო 10% - უარყოფითად (თუმცა, ცხრილში ეს უკანასკნელი არ აისახება, უბრალოდ ჯამურად გამოჩნდება, რომ დადებითი შეფასებების ჯამი არის 90%).

8. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

8.1 აღწერა და შეფასება

უსდ-მ სტანდარტის თითოეული კომპონენტის მოთხოვნების მიხედვით უნდა აღწეროს და გააანალიზოს თუ როგორ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები თითოეული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.
უსდ-მ სტანდარტის კონკრეტულ კომპონენტთან მიმართებით თვითშეფასების აღწერისა და შეფასების ჩამოყალიბებისას, საორიენტაციოდ შეუძლია იხელმძღვანელოს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოთი“[7].
თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტში აღწერისას მითითებები უნდა გაკეთდეს შესაბამის მტკიცებულებებზე/ინდიკატორებზე და წყაროებზე (მაგ. კონკრეტული დოკუმენტი, რაოდენობრივი მაჩვენებელი და სხვ.). მიზანშეწონილია, რომ თვითშეფასების ანგარიშში არ იყოს გადმოტანილი შიდა რეგულაციების ტექსტები, არამედ მოცემული იყოს მათი შემუშავების, დანერგვისა და განხორციელების ანალიზი.
უსდ-მ თვითშეფასების ამ ნაწილში ასევე უნდა აღნიშნოს ის გარემოებები, რომელიც პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის შეფასებით, საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, იმისათვის, რომ შესაბამისობაში მოვიდეს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან და ასევე გაწეროს ის აქტივობები, რომელის განხორციელებასაც ისახავს მიზნად.
იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის წინა აკრედიტაციის პროცესის ექსპერტთა დასკვნებში, აკრედიტაციის საბჭოს ოქმში ან სხვა გარე შეფასების დასკვნებში მითითებული იყო გასაუმჯობესებელი საკითხები ან/და რეკომენდაციები, უსდ-მ ასევე უნდა აღწეროს თუ როგორ მოახდინა მათი გათვალისწინება.
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათელბლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის ფორმა[8] იძლევა შესაძლებლობას, უსდ-ს მიერ დოკუმენტში აისახოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა/ანალიზი როგორც კლასტერული ნიშნით, ასევე, ცალკეული პროგრამის ინდივიდუალური მახასიათებლის გათვალისწინებით/მიდგომებით.

ცხრილი 3. - აკრედიტაციის სტანდარტები და შეფასების მიდგომები - იძლევა მითითებას, თუ სტანდარტის რომელი კომპონენტის აღწერა/ანალიზის დროს, რომელ მიდგომას ექცევა ძირითადი ყურადღება:

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური

[7] სახელმძღვანელო შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ლინკზე - https://eqe.ge/en/page/static/1064/gzamkvlevi-da-sakhelmdzghvanelo
[8] https://eqe.ge/en/page/static/561/formebi

1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

- სტანდარტის კომპონენტის „კლასტერული“ ნიშნით აღწერა/ანალიზი ხდება ერთიანი, კლასტერული მიდგომებით. მაგალითად, 1.3 კომპონენტის მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დაწესებულებას ერთიანი მიდგომებით შემუშავებული აქვს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. დაწესებულებამ თვითშეფასებაში უნდა აღწეროს, თუ როგორ მუშაობს მექანიზმი და როგორ ითვალისწინებს სფეროს თავისებურებებს; *საჭიროების შემთხვევაში,* უსდ-ს სასურველია მიუთითოს ცალკეული პროგრამის ინდივიდუალური მახასიათებლები (პროგრამაზე განხორციელებულ შეფასების შედეგები, შეფასების პროცესში ჩართული მხარეების ჩართულობის ეფექტურობა და სხვა).
- სტანდარტის კომპონენტის „კლასტერული და ინდივიდუალური“ ნიშნით აღწერა/ანალიზი სურათი კიდევ უფრო სიღრმისეულია და აქცენტი კეთდება როგორც პროგრამის საერთო ნიშნებზე, ასევე კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მახასიათებლებზე. მაგალითად, 1.1. „პროგრამის მიზნების“ აღწერა და ანალიზი ხდება „კლასტერული და ინდივიდუალური“ ნიშნით.

8.2. მტკიცებულებები/ინდიკატორები

სტანდარტის თითოეული კომპონენტის მიხედვით გაკეთებული თვითშეფასება უნდა ეყრდნობოდეს შესაბამის მტკიცებულებებს. ამდენად, ამ ნაწილში უსდ-მ უნდა მიუთითოს ყველა ის წყარო და მტკიცებულება/ინდიკატორი, რომელსაც ის დაეყრდნო სააკრედიტაციოდ წარდგენილი

საგანმანათლებლო პროგრამის აღწერისა და შეფასების ნაწილის დაწერისას (მაგ. კონკრეტული დოკუმენტები, ბმულები ან/და სხვა მტკიცებულებები).
მტკიცებულებების/ინდიკატორების წარმოდგენის მაგალითები:

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის ის მტკიცებულებები, რომელიც საერთოა ყველა პროგრამისათვის (მაგალითად, შიდა რეგულაციები), შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას სტანდარტის კომპონენტის ბოლოს. პროგრამისთვის დამახასიათებელი განმასხვავებელი მტკიცებულებები კი უნდა მიეთითოს ინდივიდუალურად, თვითოეული პროგრამის ბოლოს;
- თუმცა შესაძლებელია ასევე მეორე ვერსია. მტკიცებულებების/ინდიკატორების ერთიანი სიის წარმოდგენა შესაძლებელია კომპონენტის ბოლოს , პროგრამის დასახელების მითითებით.

8.3 ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

უსდ-მ სტანდარტის ყველა კომპონენტთან მიმართებით გაკეთებული თვითშეფასებისა და ანალიზის შედეგად უნდა მოახდინოს მთლიანად სტანდარტთან მიმართებით საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება. აღნიშნული მოდელის მიზანიაროგორც პროგრამის განმახორციელებლებს, ასევე აკრედიტაციის ექსპერტებს დაეხმაროს კონკრეტულ სტანდარტთან მიმართებით გაკეთებული თვითშეფასების ანალიზის სტრუქტურირებაში. ამ ანალიზის საფუძველზე ექსპერტები შეაფასებენ, რამდენად რეალურად აფასებს უსდ პროგრამაზე არსებულ მდგომარეობას, რამდენად აანალიზებენ პროგრამის მონაწილე პირები საკუთარ ძლიერ მხარეებს, არსებულ პრობლემებსა და როგორ ხედავენ მათი გადაჭრის გზებს. მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხების მკაფიოდ ფორმულირება, რაც ეფუძნება ხელშესახებ მტკიცებულებებს და შედეგებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

8.4 დანართები

თვითშეფასების ანგარიშის ბოლო ნაწილი ითვალისწინებს დანართების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა მოიცავდეს სააკრედიტაციო განაცხადი.

ზოგადი ინფორმაცია თვითშეფასების დოკუმენტაციის თარგმანების შესახებ

აკრედიტაციის დებულების შესაბამისად, ყველა სახის და საფეხურის (გარდა ინდივიდუალურად წარმოდგენილი ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების და ვეტერინარის მოზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამებისა) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობა არის სავალდებულო (ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სტატუსით). აღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის პროცესის წარმართვისათვის და ექსპერტთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნისათვის, მნიშვნელოვანია სააკრედიტაციო დოკუმენტაციის წინასწარ განსაზღვრული ნაწილის (მოცემულია თვითშეფასების ანგარიშის ბოლო - დანართების ნაწილში "EN" მონიშვნით) ინგლისურ ენაზე თარგმნა.
თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტაციის ჩამონათვალი არ გულისხმობს ყველა დოკუმენტის ცალ-ცალკე ფორმით წარმოდგენას. შესაძლებელია რამდენიმე დოკუმენტის ერთი დოკუმენტის სახით (ანუ იმ სახით, როგორც დაწესებულებას აქვს მიღებული) წარმოდგენა. ასევე შესაძლებელია, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია მოცემულიგან იყოს სხვავებული სათაურის დოკუმენტში. თუმცა ამ შემთხვევებში, თვითშეფასების ბოლო გვერდზე, დანართების ჩამონათვალში აღნიშნულ დოკუმენტს უნდა მიეთითოს თუ რომელ სხვა დოკუმენტშია კონკრეტული ინფორმაცია მოცემული. დაწესებულების მიერ დანართების წარმოდგენისას ასევე გასათვალისწინებელი იქნება ზემოთმოცემული ინფორმაცია ტექნიკური დეტალების შესახებ.
სასურველია, რომ დანართების სახით წარმოდგენილი დოკუმენტები დაინომროს თვითშეფასების ტექსტში და მტკიცებულებების ნაწილში გაკეთდეს შესაბამისი მითითებები.

გისურვებთ წარმატებებს!